სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/86

ქ. თბილისი

19 აპრილი 2019

სტუ-ის ცენტრ „უნიონის“ ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საუნივერსიტეტო თვითდაფინანსებაზე მყოფი ცენტრ „უნიონის“ ხელმძღვანელის, ალექსანდრე ჯოხაძის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრ „უნიონის“ ხელმძღვანელის, ალექსანდრე ჯოხაძის თხოვნა და აღნიშნული ცენტრის ფუნქციონირებისათვის სტუ-ის ბიუჯეტიდან გამოეყოს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი, რომელიც მოხმარდება ცენტრის ლაბორატორიის შექმნას, აპარატურით უზრუნველყოფას და ხელმძღვანელის შრომით ანაზღაურებას. ალექსანდრე ჯოხაძეს დაევალოს აღნიშნული ცენტრის პროგრამის კონცეფციისა და ბაკალავრიატის შესაბამისი პროგრამის მომზადება;
2. ცენტრ „უნიონის“ სტუ-ის ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
3. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) სხდომაზე დაევალოს ალექსანდრე ჯოხაძეს;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი — **გ. სალუქვაძე**